განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
9-10.09.2021
დასკვნის წარდგენის თარიღი

26.10.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, VI დონე.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჟურნალისტიკის ბაკალავრი 0321
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე	ნინო შოშიტაშვილი- გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ხათუნა კაჭარავა- თბილისის ივ. ჯავახიშვილი სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი	მალხაზ გაგუა - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ილია ბოცვაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი	სოსო გაზდელიანი - კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამამ წინა აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (ბრძანება N 400). პროგრამის მიზანია შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის ბაკალავრის მომზადება. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა -18, მათ შორის აფილირებულის - 9; პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა 2019 წელს -23; გაცილებით ნაკლები შემდგომ წლებში 2020 წ. - 9; 2021წ . -9.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ბაზას წარმოადგენს ტელევიზია - სდასუ TV, ხმის ჩამწერი სტუდია და პრესკლუბი. პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში- ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო და ბიზნეს-ორგანიზაციების პრესსამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ფირმებში და საწარმოებში, ან/და გააგრძელოს სწავლა შემდგომ საფეხურზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ აკრედიტაციის მაძიებელმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული არ იქნა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სდასუ-ში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (9-10.09.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (ონლაინ-ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა წინასწარი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა, სადაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი, აუცილებელი ასპექტები და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. იყო კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემო. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -სრული შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილი შესაბამისობა;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- -სრული შესაბამისობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა --სრული შესაბამისობა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები --სრული შესაბამისობა.

- **რეკომენდაციები**

1. *სატელევიზიო ჟურნალისტიკის შესაბამის სასწავლო კურსებში თეორიულ საკითხებთან ერთად ფართოდ ჩაშენდეს პრაქტიკული კომპონენტი.*
2. *სასწავლო კურსი "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები" განისაზღვროს სავალდებულო დისციპლინად.*
3. *გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, გაფართოვდეს უცხოელ სტრატეგიულ პარტნიორთა წრე.*
4. *სხვადასხვა პროფილურ მედიაორგანიზაციებთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმები.*

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ექსპერტების რჩევაა:**

- *ინტერნეტჟურნალისტიკის სასწავლო კურსის სწავლება განისაზღვროს დაწყებით სემესტრებში, ხოლო "მედიის კვლევის მეთოდების" - მე-6/7 სემესტრში. ასევე, სატელევიზიო პროგრამისა და სატელევიზო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსები გათვალისწინებულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში;*
- *სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, გაიზარდოს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;*
- *პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რიდერები დაეფუძნოს თანამედროვე რელევანტურ (მათ შორის უცხოენოვან)ლიტერატურას;*
- *დაიხვეწოს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა ამ პროცედურამ ფორმალობის ნაცვლად რეალური ფუნქცია შეიძინოს;*
- *პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მოზიდვის პოტენციალი, რისთვისაც საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება;*
- *საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;*

- *დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;*
- *დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით;*
- *ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.*

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ ჟურნალისტიკა“ მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანი ნათელია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. პროგრამის მიზანია შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ჟურნალისტიკის სფეროს თეორიების, ძირითადი პრინციპების ცოდნა და შეეძლება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროების სწორად გაცნობიერება, კრიტიკულად გააზრება და თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეფასება-ანალიზის საფუძველზე მასალის მომზადება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ პროფესიული გარემოსთვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. უდს-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზში, სუსტი მხარეების ჩამონათვალში აღნიშნული აქვს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების, უცხოელ პარტნიორებთან ინტენსიური თანამშრომლობის საჭიროება. ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების თვალსაზრისით, სდასუ-ს მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება არ არის წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია; • სდასუ-ს ვებგვერდი; • შრომის ბაზრის და დამსაქმებელის კვლევა;

- ინტერვიუ სდასუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

➢ გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესი და გაფართოვდეს უცხოელ სტრატეგიულ პარტნიორთა წრე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პსშ მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას. ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა განსაზღვრავს ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას, აყალიბებს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს, კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების იდენტიფიცირებას. აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს; ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებზე. იყენებს ჟურნალისტური მედიასამართლისა და ეთიკის ნორმებს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს პროფესიულ საქმიანობაში. მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს, აფასებს მათ აქტუალობას, როლსა და დანიშნულებას, აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს მასალას და ახდენს მის პრეზენტირებას, ამყარებს წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით, გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს. პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და ჟურნალისტიკის მომავალი ბაკალავრისთვის ჟურნალისტის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან, ასევე, შეხვედრები დაინტერესებულ

პირებთან. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია: საბაზისო ცოდნა; განმავითარებელი ცოდნა; კომპლექსური ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმშია გაწერილი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.
პროგრამაში წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს შეთავაზებული სასწავლო კურსებით, გამონაკლისია მე-3 სწავლის შედეგი („აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს“), რომელიც მიიღწევა სასწავლო კურსებით: ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის შესავალი, ბეჭდური მედია, ჟურნალისტური გამოძიება, სამაუწყებლო მედია (რადიოჟურნალისტიკა), სამაუწყებლო მედია (ტელეჟურნალისტიკა), ჟურნალისტის შემოქმედებითი სახელოსნო, სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი. ჩამონათვალში არ არის აღნიშნული საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები, რომელიც არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკშია განთავსებული (რეკომენდაცია იხ. 2.2 სტანდ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ლოგიკურია, სამართლიანია, საჯაროა, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის მქონე პირთა ჩართვას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. შიდა/გარე მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; ინფორმაციები ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით (აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები, მობილობის ვადები და წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა) თავსდება სდასუ-ს ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • სდასუ-ს ვებგვერდი ; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა ეყრდნობა ლიბერალური სწავლების თანამედროვე პრინციპებს, სტუდენტებს სთავაზობს ჟურნალისტიკის სფეროს საბაზისო აკადემიურ ცოდნას და ამავდროულად, მათ აძლევს სრულ თავისუფლებას, პროფესიული ორიენტირების მიხედვით აირჩიონ დარგობრივი დისციპლინები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 სთ.; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ). პროგრამის სტრუქტურული დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები- 180 კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო - 130 კრედიტი, არჩევითი -50 კრედიტი); თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები 30-30 კრედიტი). არსებითად ასეთი დაყოფა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ბაკალავრის ხარისხისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა შედეგენილია სდასუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზარის კვლევა და გამოკვეთილია მიმართულებები, კერძოდ, ინფორმაციული და ანალიტიკური მასალების მომზადება, დებატების წარმართვა და მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეფასება/ანალიზი, რაც ასახულია პროგრამის შინაარსში. ამავე კვლევის მიხედვით, ჟურნალისტის პოზიციაზე თანამშრომლის მოძიების პროცესში წარმოქმნილი პრობლემებიდან ყველაზე ხშირად დასახელებულია კურსდამთავრებულთა შორის პრაქტიკული უნარების არქონა (5ქულიან სკალაზე-3,96). ინტერვიუს სესიებითა და სატელევიზიო გადაცემების შეფასებით, დადგინდა, რომ უსდ მთლიანობაში უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის ტელეჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც პროგრამის შინაარსში არასაკმარისად არის წარმოჩენილი. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში ("ახალი ამბების ჟურნალისტიკა", "სამაუწყებლო მედია(ტელეჟურნალისტიკა"); "სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა") ვხვდებით ცალკეულ პრაქტიკულ სამუშაოებს, თუმცა ნათლად არ ჩანს იმ რუტინული საქმის დაუფლება, რაც ჟურნალისტური პროდუქტის საბოლოო სახის შექმნისათვის არის საჭირო და რასაც პირველი საფეხურებიდანვე უნდა შეეჩვიოს მომავალი ტელეჟურნალისტი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნულ პრობლემას გადაჭრის შესაბამის სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის ფართოდ ჩაშენება.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები, სასწავლო კურსები ძირითადად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული. თუმცა გვინდა გამოვყოთ რამდენიმე საკითხი:

- პსმ 3-ის მიღწევა სტუდენტს გაუჭირდება, თუ არ ეცოდინება საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები;
- ინტერნეტჟურნალისტიკის სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების (ახალი მედიის რაობა, ახალი და ტრადიციული მედიის მსგავსება-განსხვავება, ციფრული პლატფორმების გამოყენება) ცოდნა სათანადო ბაზისი იქნება ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორიციაა "ბეჭდური მედია", "ახალი ამბების ჟურნალისტიკა", "ჟურნალისტური შემოქმედებითი სახელოსნო", "მედიატექნოლოგიები", "რეკლამა მედიაში". ამიტომ სასურველია, ამ კურსის მე-7 სემეტრის ნაცვლად დაწყებით სემესტრებში სწავლება;
- "მედიის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსით განსაზღვრულია მედიადისკურსისა და მედიის სტრუქტურულ-ფუნქციონალური საკითხების კვლევის მეთოდოლოგიის, მეთოდიკების და ტექნიკების შესწავლა, კონკრეტული გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობით არსებულ ვითარების კრიტიკული ანალიზი; განმარტებები მედიაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ზემოჩამოთვლილი საკითხები მოცულობითია, რთულია და მეორეკურსელს გაუჭირდება მათი დაძლევა. ექსპერტთა რჩევაა, "მედიის კვლევის მეთოდების" გათვალისწინება უფრო მაღალ კურსებზე, 6/7 სემესტრებში;
- "სატელევიზიო პროგრამა", "სატელევიზო დოკუმენტალისტიკა" დარგობრივი დისციპლინებია და შესაძლებელია განისაზღვროს არჩევით მოდულში.

ინტერვიუს სესიებმა აჩვენა, რომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სდასუს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სდასუ-ს ვებგვერდი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- *სატელევიზიო ჟურნალისტიკის შესაბამის სასწავლო კურსებში თეორიულ საკითხებთან ერთად ფართოდ ჩაშენდეს პრაქტიკული კომპონენტი.*
- *სასწავლო კურსი "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები" განისაზღვროს სავალდებულო დისციპლინად.*

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის *ექსპერტთა რჩევაა, ინტერნეტჟურნალისტიკის სასწავლო კურსის სწავლება განისაზღვროს დაწყებით სემესტრებში, ხოლო "მედიის კვლევის მეთოდების" - მე-6/7 სემესტრში. ასევე, სატელევიზიო პროგრამისა და სატელევიზო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსები გათვალისწინებულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში.*
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება კურიკულუმის რუკით. სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის (დოკ. ფილმის სცენარის

შემუშავება და გადაღება), გათვალისწინებით შესაძლებელია სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსის კრედიტების გადახედვა. პროგრამაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება. სილაბუსებში მოცემულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტები, დეტალურად არის აღწერილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ვინაიდან ქართული მედიაგანათლებისთვის ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს მშობლიურ ენაზე გამოცემული რელევანტური სახელმძღვანელოები, ექპერტთა რჩევაა, დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, ლექტორთა მიერ მომზადებული რიდერები ეფუძნებოდეს უახლეს და მრავალფეროვან (მათ შორის უცხოენოვან) ლიტერატურას; სწავლების პროცესში ასევე, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში ; • კურიკულუმის რუკა; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკად./მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ----------
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ *სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით გაიზარდოს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა.* ➢ *ექსპერტთა რჩევაა, პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რიდერები ეფუძნებოდეს თანამედროვე რელევანტურ (მათ შორის უხოენოვან)ლიტერატურას.*
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტები უსდ-ს ტელევიზიაში (სდასუ-tv) ეუფლებიან სატელევიზიო ჟურნალისტური საქმიანობისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ამზადებენ სიუჟეტებს, საინფორმაციო და სხვა ჟანრის გადაცემებს. ამასთან ერთად, პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა მედიაორგანიზაციებში. პრაქტიკის კურსი დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკის პერიოდში (მე-8 სემეტრი) სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პრაქტიკის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისგან და მოიცავს პრაქტიკის დაწესებულების შესახებ ინფორმაციის გაცნობას/გაზიარებას; სტუდენტების სამუშაო პროცესში ჩართვას, პრაქტიკის დღიურის წარმოებას, პრაქტიკის განხორციელების და სტუდენტების მუშაობის პერიოდულ შეფასებებს, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებას და დაცვას. ანგარიშის შეფასება და კრიტერიუმები ასახულია პრაქტიკის სილაბუსში.

დამსაქმებლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები მწირია, თუმცა არსებული ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, პრაქტიკის არაერთ ობიექტთან/დამსაქმებელთან არსებობს სიტყვიერი შეთანხმება. ვფიქრობთ, რაც მალე იქცევა ვერბალური შეთანხმება ხელმოწერილ დოკუმენტად/მემორანდუმად, მით უკეთესი იქნება.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტია აგრეთვე, საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). სტუდენტი წერითი შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომს ამზადებს დამამთავრებელ სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას ხელმძღვნელობს დარგის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება რექტორის მიერ დანიშნულ ვადებში საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წინაშე. კომისიის შემადგენლობაში შედის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რეცენზენტის შეფასებისა და საჯარო დაცვის ქულათა ჯამით. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესწავლისა და ინტერვიუს სესიების შედეგად, დადასტურდა, რომ უსდ უზურველყოფს პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო პროექტებში, მათ შორის ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას. ამასთან, უსდ-ს აქვს სამეცნიერო კლუბი და სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, რაც სტუდენტთა შრომების გამოქვეყნებისთვის კარგი საშუალებაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათებლო პროგრამა; • სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სტატიები; • სდასუ-ს სამეცნიერო ჟურნალი; • პრაქტიკის სილაბუსი , განხორციელებული პრაქტიკის ანგარიში; • საბაკალავრო ნაშრომის დებულება ; • შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ➢ *უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედიაორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება.*
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ----------
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების გამოყენებით; მეთოდები მოქნილია, შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის პროცესში გამოიყენება სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, როლური თამაში, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს და სხვ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესორ-მასწავლებლები სწავლებისას ხშირად იყენებენ როლურ იმიტაციებს, იწვევენ დარგის ექსპერტებს/პრაქტიკოს ჟურნალისტებს სტუდენტებთან შესახვედრად; სწავლება -სწავლის მეთოდების შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც დარგის სპეციფიკას, ისე სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; სტუდენტებთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტიანია და ხორციელდება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე. შეფასებები გამჭვირვალეა და ყველა სტუდენტის მიმართ გამოიყენება სამართლიანად. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსების სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს. შეფასებები კომპონენტებია: ზეპირი/წერითი გამოკითხვა, თეორიული/პრაქტიკული სამუშაო (რადიოინტერვიუ, რადიორეპორტაჟი, გადაცემის რეცენზირება და მისთ.). შეფასების კომპონენტები განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარს, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეფასების ხერხებს. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ასეთი ქეისები იშვიათია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები, და კრიტერიუმები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

